398
ჯ-201

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ნოდარ შალვას ძე შახანაძე

# ქართული ხალხური ლეგენდა

10-01-09-ფოლკლორი

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

თ ბ ი ლ ი ს ი

1998

წიგნ... 22
19. 02 198..

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში.

ექსპერტი-ქურდოვანიძე თეიმურაზ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები:

1. ღლონტი ალექსანდრე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. კიკნაძე ზურაბ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
3. გოგოჭური დავით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

წამყვანი ორგანიზაცია-თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის "18 მარტს" "12⁰⁰" საათზე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს /ფ10-01-01 №3/ სხდომაზე.

მისამართი: 380008, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №5.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაგზავნილია 1998 წლის "17 თებერვალს"

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი [signature] /ა. არაბული/

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института

-1604-

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ლეგენდა ფართოდ გავრცელებული ფოლკლორული ჟანრია და გენეზისით საქართველოში ქრისტიანული მოძღვრების დამკვიდრებისა და დაფუძნების ისტორიულ ეპოქას უკავშირდება.

თემის აქტუალობა იმ გარემოებით განისაზღვრება, რომ ლეგენდა აუცილებლად საჭიროებს ღრმა მეცნიერულ შესწავლასა და გაანალიზებას. საბჭოური რეჟიმის ბატონობისას ეს ჟანრი მხოლოდ ათეისტური თვალსაზრისით განიხილებოდა. აღსანიშნავია, რომ დღემდე ლეგენდისადმი მიძღვნილი ნაშრომი არ გაგვაჩნია. პრობლემის რიგიანად გააზრების შემთხვევაში მკაფიოდ და მრავალმხრივ წარმოჩნდება ობიექტის თავისთავადობა, როგორც თემატიკური შემადგენლობით და მხატვრული არსენალით, ისე მორწმუნეთა გრძნობებზე მისი ზემოქმედების თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ქართული ხალხური ლეგენდის თავისთავადობის დადგენა, მისი საზღვრებისა და გავრცელების გარკვევა, ცალკეულ ნაწარმოებთა როგორც შინაარსობრივი, ასევე მხატვრული ანალიზის საფუძველზე მათი რელიგიური და სხვა ფუნქციების გამოყოფა და გაანალიზება. ვცდილობთ, ტიპოლოგიური ნიშნების საფუძველზე სისტემური თვალთახედვით გავიაზროთ ყოველი დებულება და შევქმნათ მონოგრაფია, რომელშიც განსაზღვრული იქნება ხალხური ლეგენდის როლი და მნიშვნელობა ქართულ ფოლკლორში.

პრობლემის შესწავლის დონე და მეცნიერული სიახლე. გამოკვლევაში ვისწრაფვით წარმოვაჩინოთ პრობლემის შესწავლის თანამედროვე დონე. სიახლეა შემდეგი: I. ლეგენდის ჟანრობრივი სპეციფიკის დადგენა, II. ლეგენდის მოსაზღვრე ჟანრების: მითის, თქმულებისა და გადმოცემის მიმართ განსაზღვრა და მათი თავისთავადობის ნიშნები, III. ლეგენდების თემატიკური დაჯგუფება და მათი დაწვრილებითი ანალიზი, IV. ლეგენდის საზოგადოებრივი ფუნქციების წარმოჩენა, V. წარმოსახვის იმ ხერხებისა და საშუალებების ჩვენება, საკვლევ ჟანრს საუკუნეთა განმავლობაში რომ გაამდიდრებ-და.

მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლები. ნაშრო-